

572  
1967

УЧЕБНИК  
ИЗДАТЕЛЬСТВО



УЧЕБНИК

УЧЕБНИК  
1967  
N 1

რაც ძველია, ძველია,  
ძველია და შიღის...  
დღეს ახალი წელია,  
სუიშია დიდი.

ღაფიფქული წარბებით,  
ღართჟიღული ქედით  
თოვლის ჰანა მოვიდა,  
თოვლი მოაქვს გუდით.

აბა, ჩქარა, ბავუგებო,  
გაფანძროთ ხელი,  
თორემ დაგვიძველდებ  
ეს ახალი წელიც.



579  
1967

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



10.367

# როგორ ვხვდებით ახალ წელს

ვიქტორ გოლიკოვი      ნახატი პაპა მელიქიძისა

ღამის თორმეტ საათზე, როცა ახალი წელი მოვიდოდა ხოლმე, მუდამ შუა ძილში ვიყავი. ვინ იცის, რამდენჯერ მოვიდა ახალი წელი, მაგრამ არც ერთი არ მინახავს. დილით გაშეღვიძებოდა თუ არა, დედა ტკბილეულს მთავაზობდა და ამბობდა:

— აი, მოვიდა ახალი წელი!  
მაგრამ მე კარგად ვიცოდი, რომ ახალი წელი, ახლა კი არა, წუხელ მოვიდა. დედას ვეკითხებოდი:  
— შეხვდი ახალ წელს?  
— შეხვდი, — მუხუბნებოდა დედა.  
— ნახე იგი?  
დედას ვცინებოდა.  
— ცხადია, ვნახე.  
— მაშაშა ც ნახა, ბებიამაც?  
ძალიან მწყდებოდა გული.  
ახალი წელი დიდი, ყურებიანი ქუდიით მყავდა წარმოდგენილი. აი, ისეთი, საახალწლო მოსაწვევ ბარათზე რომ მინახავს დახატული.

...შესრულდება თუ არა თორმეტი საათი, კარზე დააკაკუნებს, ეგებებიან, ეხვევიან, კაკოცნიან — გაუმარჯოს შენს მომობანებასო!

ახალი წელი ხურჯინიდან საჩუქრებს ამოალაგებს, ურიგებს ვისაც რა ვაგხარდება და მერე ამბობს: „ახლა კი ნახვამის, სხვა ოჯახებში შელოდებანი!“ — და მიდის. მოსახვევამდე მიაცილებენ, მერე ყველანი შინ ბრუნდებიან და იძინებენ.

აი, ასე წარმომედგინა ახალი წელი. რამდენჯერ ვეცადე, ახალი წლის ღამეს არ დამძინებოდა, მაგრამ ჯინახე, ხან სად, ხან სად, მაინც ჩამძინებოდა ხოლმე. გაღვიძებით კი, სულ მუდამ საწოლში შეღვიძებოდა. სასთუმალქვეშ ყოველთვის საჩუქრები მხვდებოდა.

ჩემი ძმა ჩემზე უმცროსია, მაგრამ იგი ჩემზე ადრე შეხვდა ახალ წელს. როგორ მოხდა ეს? სმენა იყოს და გაგონება! ახლავე გიამბობთ:

ძილი რომ არ მოჰკიდებოდა, მაგიდის ქვეშ შემძვრალა. არც ამას უშეგლია,— მალე ჩასძინებია. მერე, როცა უფროსები მაგიდას შემოსდომიან, იმწამსვე ვაღვიძებია.

ჰოდა, მეორე დღეს, იცით, რა მითხრა? — ახალი წელი არ მოსულა! — როგორ თუ არ მოსულა?!—გამიკვირდა მე.

— როგორ და, არ მოსულა! მორჩა და გათავდა.

— შენ ალბათ ჩაგვძინა მაგიდის ქვეშ.

— ჩამეძინა კი არა! საათმა თორმეტჯერ დარეკა, აყვირდნენ: „გაუმარჯოს ახალ წელსო“. იმწამსვე გამოვძვერი, მაგრამ ახალი წელი არ გამოჩენილა.

— აბა, თუ ახალი წელი არ გამოჩენილა, ვის შეგვლით?

— ვის შეგვვლით და ახალ წელს!

— ახლა არ თქვი, არ გამოჩენილაო. თუ მოვიდა, როგორ ვერ დინახე?!

— თუ არა გჯერა,—მეუბნება ძმა,— გაისად რომ მოვა ახალი წელი, შენი თვალით ნახავ. შესრულდება თორმეტი საათი, მაგრამ არავითარი ახალი წელი არ შემოვა.

— ალბათ გეძინა და რას დავიწყებდი! საათის რეკვა კი ძილში ჩაგვსმა,—ვეუბნებოდი მე.

— არ მძინებია!—ყვირის ძმა.

— გეძინა, გეძინა!—ვეკუთბო მე.

— შენ თვითონ გეძინა!—მეუბნება ძმა.

— მე კი მეძინა, მაგრამ შენც გეძინა! მე საწოლში მანც მეძინა, შენ კი—მაგიდის ქვეშ! არ ჯობდა, შენც საწოლში დაგეძინა!

— არ მეძინა! გეუბნები, არ მეძინა!

— თუ არ გეძინა, აბა, რატომ ვერ ნახე!

— არ მოსულა და რა მენახა!

— გეძინა, გამოტყდი, რომ გეძინა!

ამით დამთავრდა ჩვენი კამათი. ძმას გული მოუვიდა და გაიქცა. მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ მას მართლაც ეძინა მაგიდის ქვეშ და ამიტომ ვერ ნახა საჩუქრებით დატვირთული ახალი წელი.

აი, ასე წარმომედგინა ახალი წელი, როცა მე ჯერ კიდევ ძალიან პატარა ვიყავი.

განმთავრდა ზნაბ ლეჩაქაძე

# ჭ ა ი ც რ ც ხ ა



# აკალაზი

მერი ბოლქვაძე ნახტი ლორაბა პენაელისი

მალხაზმა კაკლები იბოვა ეზოში. კენჭეროზე შემორჩენილი კაკალი ქარს ჩამოეყარა დიდი კაკლის ხიდან. წამოკრიფა და სახლში გაარბენინა.

— ბებო, აი, კაკლები ვიბოვე!— ახარა ბეზიას, — სად არის ჩაქუჩი?

მალხაზმა ჩაქუჩი იბოვა და დაჰკრა ერთ კაკალს.

ჩახ!— დაიძახა კაკალმა, — გატყდა.

ახლა მეორე კაკალს დაჰკრა.

ჩახ!— დაიძახა მეორემაც. ესეც მიირთვა მალხაზმა. დარჩა მესამე.

— ზოგი მერე ჭამე, არ გაწყინოს!— გააფრთხილა ბებომ.

მალხაზმა არ დაიჯერა, დაჰკრა ჩაქუჩი მესამე კაკალსაც. კაკალი კი... თითქოს ბეზოს შვეთანხმდა, არ გატყდა, «ჩახ კი» არა, «კაპა»— დაიძახა.

— ბიჭოს, ამას უყურე, რა კერკეტა ყოფილა.



კიდევ დაჰკრა მალხაზმა კაკალს.

კაპ!— არც ახლა გატყდა კაკალი, ანტა-დანტა და კარადის ქვეშ შეგორდა.

— ჰი, — ჩაიცინა მალხაზმა, — ჩაქუჩს გაექცა კაკალი.

— ჩაქუჩს კი არა, შენ გაგექცა!— უთხრა ბებომ.

მალხაზმა კარადის ქვეშ შეინებდა:

— აგერ კაკალი, რა ბუსავით ზის სიბნელეში?!

მალხაზმა ბევრი უტრიალა კარადას, გრძელი ჯოხიც კი მოიშველა, მაგრამ კაკალი ვერაფრით ვერ გამოაგორა.

ადგა მალხაზი და ისევ გაიტყა ეზოში, კიდევ ხომ არ ჩამოყარა ქარმა კაკალი, მაგრამ ერთი კაკალიც არ ეგდო ხის ქვეშ. ქარმა უჭურჩულა:

დღეს ეს გეყოს, რაც მიირთვი, მალხაზო, ხვალ კიდევ ჩამოგიყრიო!





ძვირფასო ბავშვებო! ჩვენი წინაპრები თავგანწირვით იბრძოდნენ თავისუფლების მოსაპოვებლად. ამ ნომრიდან გვინდა, მათი ბრძოლებისა და აჯანყებების ამბები მოგითხროთ.

ეს ბრძოლები დიდი ხნის წინათ დაიწყო, ჯერ კიდევ იმ დროს, როცა მშრომელი ადამიანი ზატონ-უშობის მიმე უღელქვეშ იტანჯებოდა.

მე—10-11 გვერდზე დახატული სამეგრელოს გლეხთა აჯანყება მებატონეების წინააღმდეგ. ამ აჯანყებას მეთაურობდა უტუ მიქავა.

ურნალის შემდგომ ნომრებში სხვა საინტერესო ამბებზეც წაიკითხავთ: პირველმაისობას თბილისში, ქართველი, რუსი და მოძმე ერების რევოლუციონერების საგმირო თავგადასავალს, გიამბობთ გმირულ გემზე—ჯავშნოსან „პოტიომკინზე“, მშრომელი ხალხის ბელადის ვ. ი. ლენინის მოღვაწეობის ეპიზოდებსა და სხვა საინტერესო ამბებს. გაუფრთხილდით ურნალის ამ ნომრებს და დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის საიუბილეო ზემისათვის კლასში ან პიონერთა ოთახში მოაწვეთ გამოფენა.

## უცნაური ორთქობავა



ბივი ჟიჟინაძე

საახალწლო ნაძვის ხეზე ქადაქისკენ მომავალი ნიავქარზე უფრო მალი—დგას ბაქანზე ორთქობავალი.

დაგანახათ წამით ნეტავ, უცნაური არის მეტად. ერთმანეთზე გადაბმული, ჩანს თერთმეტი სათავური.



წინ ეწევა დიდი კასრი  
და იმ კასრზე კბილებასარი  
ულვაშა და კუდფუმფულა  
ვისუნია დასკუბულა.

მემანქანის ფორმა შუენის,  
მემანქანის ქუდიც ხურავს  
და ტკბილი ხმით უხმობს თავებს,  
თან ხითხითებს ემზაკურად:

ნახათ ზარამ ურჩხილმა  
— კისაც უნდა ქალაქისკენ  
უბილეთოდ გავაქროლო,  
აბა, ჩუბრა ამობრძანდეს,  
ერთი წამი დაგვრჩა მხოლოდ.

+ თინათინ კვიციანი

დელი, დელი, დელი,  
დღეს ახალი წელია.  
თურმე ჩვენთვის ბებიას  
ბევრი საჩუქრები აქვს.  
— ეს რა არის, ბებია?  
— ტკბილი ჩურჩხელებია.  
— ეს რაღაა, ბებია?  
— ტკბილი ნაჭუჭებია.  
დელი, დელი, დელი,  
დღეს ახალი წელია,  
უკვლავური ბევრია.



## ორი ნაძვი

სიმონ ჯაფარიძე

ნახატები ირაქლიძისა

ტყეში ძალიან ბევრი ნაძვი იზრდებოდა. დიდი მაღალი ნაძვები ზემოდან დასცქეროდნენ ტყეს, გაჰყურებდნენ მდინარეს და ტყის იქით გაშენებულ სოფელს. პატარა ხეები კი, დიდი ხეების კენწეროვებს შორის მოშუადღეულ ცის პატარა ნაჭერს შესცქეროდნენ, სადაც ღამ-ღამობით მხოლოდ ორიოდე ვარსკვლავი ციალებდა.

ერთი მაღალი ნაძვი ზედ ტყის პირას იდგა, ყველაფერს ხედავდა, მაგრამ მაინც მოწყენილი იყო, მეგობარი არა ჰყავდა. როცა ჩამოლამდებოდა და ცაზე უთვალავი ვარსკვლავი აინთებოდა, ნაძვი ცას შეაქებდებოდა. ერთი ვარსკვლავი მოსწონდა ყველაზე უფრო. ეს ვარსკვლავი ერთსა და იმავე ადგილზე ციმციმებდა. ნაძვი დაინახავდა თუ



არა, ესაღმებოდა და ჩუმად უდიმოდა.

ერთხელ ცა მოიღრუბლა. ნაძვმა იცოდა, ვერ დაინახავდა თავის მეგობარ ვარსკვლავს. მაგრამ მინც შეპყურებდა ცას და ელოდა როდის გამოჩნდებოდა. ბედზე ქარი ამოუარდა, ღრუბელი გაფანტა და ისევ აკაფდა პატარა ვარსკვლავი.

— გამარჯობა!— შესცინა ნაძვმა, —რა ხანია გიციდი, ძალიან მომენატრე, შენს მეტი მეგობარი არა მყავს. ნეტავი ახლოს იყო ჩემთან!— ესაუბრებოდა ნაძვი ვარსკვლავს. ვარსკვლავი კი ძალიან შორს იყო და არ ესმოდა ნაძვის ნათქვამი.

ქარი გაძლიერდა. ხეებს ამტვრევდა და პაერში ატრიალებდა ფოთლებს. უცებ, ნაძვის რაღაც ხმა შემოესმა. —ოქვე, გვერდით ვილატ ტიროდა და შევლას ითხოვდა. დაიხედა ნაძვმა და პატარა ნაძვის ხე დაინახა, რომელიც მის გვერდით მიუყუქულიყო.

— გცივა?— ჰკითხა დიდმა ნაძვმა.

— ძალიან, ძალიან, — შეარხია ტოტები პატარამ.

— მოიწიე ჩემსკენ, მაგრად შემომხვიე ტოტები, ქარი ვერაფერს დაგაკლებს. — მიეფერა დიდი ნაძვის ხე. პატარა ნაძვი ჩაფხუტა და იყვნენ ასე ჩახუტულები გათენებამდე. დამეგობრდნენ დიდი და პატარი ნაძვი. ღამლამობით დიდი ნაძვი აღარ შესტკეოდა ცას, პატარა ნაძვისაკენ იხრებოდა და ერთმანეთს ზღაპრებს უამბობდნენ.

— იცი, მე ერთ ვარსკვლავს დაეუმიგობრდი. ძალიან მიყვარდა, ვეფერებოდი, მაგრამ ვარსკვლავი ძალიან შორს იყო და ვერც კი მაჩნევდა, არაფრად მადგებდა. შენ კი როგორი მეგობრობა შეგძლებია!

— მე სულ ერთ ბეწო ცას ვხედავ, — დაიჩივლა პატარა ნაძვმა.

— გაიზრდები და დიდ ცას დაინახავ! — მიეფერა დიდი ნაძვი.

გავიდა ზაფხული, შემოდგომა, დადგა ზამთარი. ნაძვები ისევ ერთად იყვნენ. პატარა ნაძვი წამოიზარდა, უკვე ბევრ ვარსკვლავს ხედავდა, მაგრამ იმათში არ ეძებდა მეგობარს, რადგან მეგობარი გვერდით ეგულებოდა.



ალბათ ვაგივიათ, როგორ ცხოვრობდნენ გლეხები ბატონყმობის დროს. მებატონეები არა მარტო მათ სარჩოსაბადებელს ითვისებდნენ, გლეხს ადამიანად არა სთვლიდნენ: სცემდნენ, ასახიჩრებდნენ, ჰყიდდნენ.

გლეხობას მოთმინების ფაილა აევსო და იარაღი აისხა. საქართველოს ხან ერთ კუთხეში ჯანუდებოდნენ, ხან მეორეში... ასეთი შეიარაღებული აჯანყება მოხდა სამეგრელოშიც. ამ აჯანყების მიზეზი ის ვახდა, რომ ბევრაზზე გაუვანილ გლეხებს საფქვავეზე მინდი დაუწესეს. მანამდე კი, მათი კვება მებატონეს ევალებოდა.

დაბეჩავებული გლეხოზა აბოხოქრდა. მათ შტკიცედ შეჰფიცეს ერთმანეთს, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, მოეპოვებინათ თავიანთი სიმაართლე. აჯანყებულეები მდინარე ხოზის ნაპირზე შეიკრიბნენ. ზოგი თოფით იყო შეიარაღებული, ზოგი კეკით, ზოგი წალდით.

„თავადი და აზნაური არ უნდა არსებოდეს, ადამიანები ერთმანეთის ძმები არიან!“—მოუწოდებდნენ ისინი ხალხს.

აჯანყებას მეთაურობდნენ: კოჩა თოდუა, უტუ თოდუა და უტუ მიქაევა. ყველაზე მეტად უტუ მიქაევამ გაითქვა სახელი. უტუ მიქაევა მკედელი იყო და სოფელ ჯვარში პატარა სახელოსნო ჰქონდა. აქ ხშირად იკრიბებოდნენ თავისუფლების მაძიებელი გლეხები და ბჭობდნენ.

უტუ მიქაევა სწრაფად მოქმედებდა. ქორიფთ ხან ერთ მებატონის სახლს ესხმოდა, ხან მეორისას, რასაც კი მოახელებდა—ართმევდა და ლარბებუხ ურიგებდა. დაატყვევა გულქვა ბატონები და მოსამსახურე გოგო-ბიჭები კი გაანთავისუფლა.

აჯანყება დღითი-დღე იზრდებოდა. ადგა და სამეგრელოს დედოფალმა ეკატერინემ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს დახმარება სთხოვა. მან აჯანყების ჩასაქრობად გამოგზავნა გენერალი კოლუბიაკინი თავისი ჯარით.

გენერალმა მოატყუა გლეხები,—ტკბილი სიტყვით დაიყოლია მებამოხენი. უტუ მიქაევას წარდგენილი მოთხოვნილებები სამართლიანად ჩათვალა და მებატონეები დაატუსა.

გლეხოზამ იფიქრა, მეფის ხელისუფლება ჩვენ გვემხრობაო და აჯანყება დაიშალა.

მეფის მთავრობასაც ეს უნდოდა. რაკი აჯანყება ჩაქრა, მაშინვე დააპატიმრა თავკაცები. უტუ მიქაევა არხანგელსკში გადაასახლეს, გლეხოზა კი ისევ მებატონეებს დაუმორჩილეს.

იმდროინდელი ყველა აჯანყება მარცხით მთავრდებოდა, მაგრამ მშრომელ ხალხს სჯეროდა, რომ ძალა ერთობაში იყო და ახალი ბრძოლებისათვის ირახმებოდა.







# თოვლის ჰაჰა

მომთა ასანიშვილი ნახატები ზურაბ მამბაკიანიშვილისა

მთელ ღამეს თოვდა. ეზოები, სახლის სახურავები და შიშველი ხის ტოტები ფაფუკმა თოვლმა დაფარა.

ადრე დილით, როცა თოვლმა ფანჯრებში შეიჭყიტა, პატარებმა ფანჯრის მინას მიაჭყლიტეს ცხვირები და თვალეზაციმციმებულნი უყურებდნენ ზამთრის ღამას მახარობელს.

— გივი, ჩამოხვალ?— გასძახა ვაჟამ.

— ჩამოვალ, ვაჟა, ჩამოვალ!

ეზოში თბილად ჩაცმული ბავშვები თამაშობდნენ.

გივიმ და ვაჟამ თოვლი ააგუნდავეს. მთელ ეზოში აკოტრიალეს. პატარა გუნდა გასუქდა, გვერდები გაისქელა. მერე თუთის ხესთან მიაგორეს და ზედ უფრო პატარა გუნდა დაადგეს. ნაშვირის თვალ-წარბი და ბი-

რი გაუკეთეს, პატარა სათლი ქუდად დახურეს, გვერდით ცოცხი, ხოლო პირში კი ჩიბუხი გაურჭეს და მშვენიერი თოვლის ბაბა გამოვიდა. ისე მოეწონათ ბიჭებს, რომ სიხარულით აღარ იცოდნენ, რა ექნათ. გივიმ თოვლის ბაბას ხელი გადახვია, ვაჟამ აპარატი მოიმარჯვა. სად იყო, სად არა, ცუგო შემოვარდა, თოვლის ბაბას ყეფა დაუწყო. მერე ეცა და ცოცხს ჩაავლო პირი.

— წკაპ!—სწორედ ამ დროს გაიჩხაკუნა აპარატმა და ვაჟამ სურათი გადაუღო.

ბიჭებმა იმდენი იციანეს, იმდენი იციანეს, რომ თოვლის ბაბასაც კინალამ წასკდა სიცილი.

# თხუნელა

ბაბა შაბაჩიშვილი

ჩვენი უბნის პატარებს  
გაუკვირდა სუსველას;  
ეზო დაუქსელია  
გვირაბებით თხუნელას.

ზაზა ზიჭებს ეძახის:  
— გექებთ, დიდი ხანია,  
მოდით, ნახეთ, თხუნელას  
მეტრო გაუყვანია!



ეროვნული  
ბიბლიოთეკა



## ტყეში

ნოღარ შაბაჩიშვილი

აჩიკომ მხარზე გაიდო  
პატარა ცული ცულცულა,  
ბუჩქებში გაძვრა-გამოძვრა  
და ტყეში გააცუნცულა.  
ნახა გამხმარი ხის ტოტი,  
დაჯღარკული და ბრუსუნა,  
დაპკრა და დაპკრა ხელმარჯვედ  
პატარა ცული ცულცულა,  
და მერე ზურგზე მოიგდო,  
შინისკენ წააცუნცულა.



# "ეკუხიეზი"

პარჩილ ჯანაშვილი

ინდოეთში არის ერთი პატარი სოფელი გოლამური. რამდენიმე ათეული წლის წინათ იქაურები შეზინდებისას გარეთ ვერ გამოდიოდნენ და მახლობელ ტყეში დღისითაც კი ვერ ბედავდნენ შესვლას. ამბობდნენ, რომ ამ ტყეში ცხოვრობდნენ „მაქციები“ თუ ფერიები, რომლებსაც ადამიანის სახე აქვთ, მაგრამ ადამიანებს დასაგულჯადაც არ ინდობენო.

ამ ამბავმა ერთი მამაცი მონადირის ურჩამდეც მიაღწია. იგი მაშინვე სოფელ გოლამურს ეწვია, შემოიკრიბა რამდენიმე იქაური მონადირე და ამ საოცარი „მაქციების“ სანახავად შეზობელ ტყეს მიაშურა.

ბევრი ძებნის შემდეგ მათ მონახეს მგლის ბუნაგი. მონადირეთა დანახვაზე ორი მგელი მაშინვე გაიქცა, ხოლო ბებერი ძუ მგელი მონადირეებმა მოჰკლეს. მგლები ბუნაგში მათ მგლის ორი ლეკვი და ორი გოგონა იპოვეს. ერთი მათგანი ორი წლისა იქნებოდა, მეორე კი რვა-ცხრა წლისა. ეს გოგონები მონადირეებმა ქილაქში წაიყვანეს. ექიმებთან მათ უოველდღე აკვირდებოდნენ. უმცროს გოგონას ამაღა დააქვეს, ხოლო უფროსს—კამალა.

თურმე ბავშვები მგლებივით იქცოდნენ. გამოირკვა, რომ კამალას მგლის ბუნაგში გაუტარებია თითქმის ხუთი წელი. მას მგლის ძალიან ბევრი გიჟი და გიჟი გაჩანდა: დადიოდა დაოთხილი; ნელი სიარულის დროს ეყრდნობოდა ხელის გულს და მუხლის თავებს, ხოლო სირბილის დროს—ხელის გულს და ტერფებს. დაოთხილი ისე სწრაფად დარბოდა, როგორც მისი თანატოლები ორ ფეხზე.

კამალა ადამიანებს მტრულად უკრებდა კბილებს და დასაკბენად ეტანებოდა. სამაგიეროდ ძაღლის ლეკვებთან თამაში არ ბეჭადებოდა.

ძილის დროს ამაღა და კამალა ძალღებვივით ერთიმეორეზე მიწვებოდნენ და ისე ეძინათ. საბანს ვერ ეგუებოდნენ. ტანსაცმელს არ იკარებდნენ.

გოგონების „გადამიანება“ ძალიან ძნელი გახდა. მხოლოდ სამი წლის შემდეგ ძლივსძლივობით დადგნენ ფეხზე, ხოლო შვიდი წლის შემდეგ ორ ფეხზე სიარულიც ისწავლეს. ოთხი წლის თავზე კამალამ ძლივს ისწავლა რამდენიმე სიტყვა. ისინი თანდათან მიეჩვივნენ ადამიანების სიახლოვეს და ნელ-ნელა ადამიანური ცხოვრებაც დაიწყეს.

ამგვარი შემთხვევები იშვიათი როდია. ტყეში გზაბნეულ მცირეწლოვან ბავშვებს მგლები თავიანთი ბუნაგისაკენ მიარბენინებენ ხოლმე და მერე მზრუნველობას არ აკლებენ. მგლის ბუნაგში გარდაილი ბავშვები მონადირეებს ხშირად შეხვედრიათ ტყეში.

ნახატი ზურაბ უოსხიშვილისა



# „სუთოსანი“

კათიკან ჭილაგვილი

გვიამ ეზოში შემოვლა თუ არა ფეხი, ლელა შემოვდა.

— ლელა, იცი, მე სუთოსანი ვარ!—მიხარა ვიამ.

— სუთოსანი? ასე მალე როგორ მიიღე სველაფერში სუთი?

— სველაფერში კი არა, ქართულში მივიღე.

— ამას არ უკურბ! ერთი სუთიანი სუთოსანი უნდა გახდეს,—გადაიკისკისა ლელამ.

— ოჰო, როცა ერთი ორიანი მქონდა, ოროსანს მეძახდით, ახლა არა ვარ სუთოსანი?—ტუჩი აიბზუა ვიამ და კიშკარი მიიჯახუნა.





ნახატო ლორაშა გენგელიანი



## პანყეთ რაკევა

ბავშვებო, აქ დახატულია რაკეტის ნაწილები.

სათითაოდ ფრთხილად ამოჭერთ, მიაწებთ ერთმანეთს და რაკეტა მზად იქნება.



# გლახა და ღახაია

საბავშვო  
გაზეთი

ქართული ხალხური ზღაპარი

იყო ერთი საწყვალე გლეხი. ერთხელ ცოლს უთხრა: შინ არას ვაკეთებ, წავალ სადმეო. წაიღო სავალი და წავიდა. მიადგა ერთ სახლს. დედაბერმა გამოიხედა; ბინად დამაყენეო—სთხოვა გლეხმა. დედაბერმა მიუცო: აქ რომ დაგაუწო, დევები შეგჭამენო. — ამითხანა სიცოცხლეს, დეე, შემჭამონო, — უთხრა გლეხმა და დადგა. დედაბერმა ქვაბში დამალა. დევი რომ მოვიდა, ადამიანის სუნი აიღო. დედაბერი ჯერ ეფიცა, აქ არავინ არ არისო, მაგრამ რაკი ვერ დააჯერა, მერე შეესვენა: ნურას ჰკადრებ, საწყვალე კაციაო. დევმა ჰპირთა მისცა, არას ვკადრებო. მაშინ დედაბერმა გამოიყვანა კაცი ქვაბიდან, ჰამეს ვახშამი და დაიბინეს.

მეორე დღეს დევა ჰკითხა გლეხს:

— რას მთხოვ, რომ განუქოთ?

— ცოცხლად გამგებანო, — მიუცო გლეხმა.

— თუ შენი შეჭმა მდომებოდა, — უთხრა დევა, — წუხელ ვერ შეგჭამდიო? მაინც რას მთხოვო?

— ცოცხლად გამგებანო, — კიდევ უხასუხა გლეხმა.

ადგა და დევა აჩუბა ისეთი ძროხა, რომელიც დღეში სამჯერ იწველიდა და თითო კვირაში თითო სბოს იკებდა. თან უთხრა:

— ერთი წლის მერე გეწვევი, თუ სიტყვაში მომიკებ, ძროხა და მისი ნაშენი შენი იუოს, და თუ ვერა, ჩემიო.

— კარგია, — მიუცო გლეხმა და წაიყვანა ძროხა. ძროხა გამრავლდა და გლეხი გამდიდრდა, დიდგაცურად ცხოვრობდა, მოჯამაკირებოც დაიყენა. მაგრამ ერთი ჯავრი ჰქონდა. ვაითუ, დევს სიტყვაში ვერ მოეუცოო.

ერთ დღით ვიღაცამ კარსე დააკაუნა. გამოხედა გლეხის ვაჟმა. ორი კაცი მოსულეო და ღამის გათეფას ეჩვენებოდა. ბიჭმა მამას მოახსენა, მაგრამ გლეხმა თქვა: სვალ დღით დევს მოველი, ვაითუ, მე შემჭამოს და მაგათ ცოდოში რაღად ჩავდგეო. ცოლი მიეძალა, მაგათთან დევს რა სელი აქვს, დაჯუენოთო. დააუენეს და ვახშამი ჰამეს. გლეხი კი არაფერს ჰამდა. ის ორი კაცი ეუბნებოდა: რა გატირებს, საქმეს ტირილით რა ეშველებო. გლეხი მანაც ტიროდა.

დღით თორმეტი დევი მოადგა კარს და დაიბახეს: „ჰო-ჰო-ჰო!“

მასწინძელი შიგნიდან დაესძურა: „ჰე-ჰე! ჰე-ჰე!“

— დილას რომ ბუზი გამოვკსაწენო, ის ბუზი სნად არისო? — იკითხეს დევებმა.

— ის აქამდე ზღვაში გაუღოდაო, — უხასუსა გლეხმა.

— ის ჰატარა ზღვა იქნებოდაო! — დაიბუბუნეს დევებმა.

— ჰატარა როგორ იქნებოდა, ეორანო მუხამდე ვერ მიფრინდაო!

— ჰატარა ეორანი იქნებოდაო!





— ზატარა როგორ იქნებოდა, ექვს სოფელს ფრთებით ჰფარავდა!

— ის ექვსი სასლი იქნებოდა!

— ექვსი სასლი როგორ იქნებოდა, ერთის თაფზე ვირმა დაიფირო და შუამდე ვერ მიავსდინა ხმაო.

— ის ზატარა ვირი იქნებოდა!

— ზატარა როგორ იქნებოდა, ექვს-ექვსი წისქვილი აქეთ-იქით ვკიდა და მუსლებით

კურდღელს იჭერდაო.

— ის კურდღლის ბაჭია იქნებოდა!

— ბაჭია როგორ იქნებოდა, დილიდან საღამომდე ცოლმა და ქმარმა ტუავი ვერ გააძრესო!

გაწილებული დევეები უკან გაბრუნდნენ. გლეხს შერჩა პროსა და მისი ნაშენი, ცხოვრობდა მშვიდობით.



# ფეხად-ფეხადი

სეცხა  
შეღაუჭი ცხენი შათრახს არ ღაიყრავსო



## მხადუჭა

ა. აბოიანიძე

აღუღებს თ...ს

ქი არხეებს ნ...ს

მ ცომი მ...ა

აქუთებს გ...ს

ბაყაყს შეუღღია უჭმელად ერთი წელი გასღლოს, კუს და ნიანგს—ათი-თერთმეტი თვე.

თხუნელა დღე-ღამეში იმღენს ჭამს, რამდენსაც თვითონ იწონის, ხოლო მოკლუცხვირა მფრინავი ძალი, რომელიც ინდოეთში ბინადრობს და სულ 30 გრამია, სამი საათის განმავლობაში თავის წონაზე ორნახევარჯერ მეტ საჭმელს ნთქავს.

ლორმუცლობით ფრინველებში გამოირჩევა სეავი. იგი იმღენ მძორს ჭამს, რომ კუჭში აღარ ეტევა. ხშირად მოზრდილი ღლუჭმა პირიდან გარეთ აქვს გამოჩრდილი, ფრენა აღარ შეუღღია და რამდენიმე დღის განმავლობაში ფრთებგაშლილი ერთ ადგილზე დაბაჯბაჯებს ხოლმე.



ჭიანჭველა მეტად გონიერი და ღონიერი. თუ თავისი სოროს შესახველთან შემთხვევით დაგდებული ქვა ნახა, მასზე ორმოცდაათჯერ მძიმეც რომ იყოს, მაინც გადააგორებს.

# ენის ტასატასი

პეპანი ბართია

კოტემ კატოს კატა კუდით  
კეტზე თოკით დაჰკიდა.  
კატას ჰყავდა ხუთი კნუტი  
და ხუთივე ატირდა.

## გამოსტანეში

ტანწერწეტა მანდილოსანს  
მუდამ მწვანე კაზა მოსაგს.  
თავს ვარსკვლავი დასციმციმებს  
ყოველ დილა-სალამოსა.

ბინადარი ნაძვის ხისა  
აკნატუნებს წაბლს და თხილსა.



ნახტი სოსო პაპუნიძისა

- ცუგო, რატომ სტირი?
- კბილი მტკივა, კბილი...
- რა შეჰამე, თხილი?
- არა, ბევრი ტკბილი.

## გონადიჯი

თავაზ ბათიჩივილი

ვისაც გული გერჩით, ვინადიროთ ტუეში,  
გამომეყვით თანა, მოაკლათ ტურნა, მკელი.  
წაბიღეთ ტუვა, აბა, ჩქარა, უკვლახს  
თოკი, თოყი, დანა... სოფლის ბოღოს გელით.



შთავარი რედაქტორი უანსულ ჩაკჭიანი.

ბარდუაქციო კოლეჯია: ზ. ბიზიშვილი, კ. ნოზიშვილი, უ. ლოლუა, შავ. შამხლიშვილი, უ. ნინოა,  
უ. ცხაღბამ (ხაზბატორი რედაქტორი), ნ. წულუხიძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), ჩ. ბიძიშვილი

პატივთმცემი ადამ. ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის შორეული მიწების ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ექრნალი

ელაზე ნახტი მანამოხ სმსონაძისა.

გამომცემი: ნ. გომიშვილი

გამოცემის 4-ე წელი. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაბრუნდებათ.

გამოცემის „ნაკვეთი“, ვაშლი: ზაგ. № 706, სპილოს ზაგ. № 376, ტარაგა № 100, ზღაპრული დანაკვეთი 35/XI 1966 წ.

აღიწილი დაბეჭდილი საქ. კ. ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის შორეული მიწების ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ექრნალი. თბილისი, მკვნიანის ქაბა. № 91, ტელ. 3-27-34, 3-16-09.

35/20 233.

6705  
76055

საქართველოს  
საბავშვო  
საზოგადოებრივი  
სამსახური



„გოგონა და ბუშტები“ —  
ნახატი რუსუდან შავაგარიანიხა, 5 წ.  
ვერტმფრენი — ნახატი ირაკ-  
ლი ასტახიშვილიხა, 4 წლის.  
გოგონა — ნახატი ნელი ბერი-  
ძიხა, 6 წლის.  
მბეღარი — ნახატი გია ვანე-  
შიძიხა, 8 წლის.  
წითელქუდა — ნახატი მელეა  
ბუკიახი, 5 წლის.  
ალპინისტები — ნახატი ირაკ-  
ლი კარგარეთელიხა, 9 წლის.  
„დათუნები“ — ნახატი შავლანა  
მჭედლიძიხა, 4 წ. თბილისი.

